ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7145980

ნომერი: AR11048587

თარიღი : 19.07.2024

გაცემის თარიღი : 26.07.2024

გაცნობის თარიღი : 29.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დიმიტრი გულიას ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მხეიძე პ/ნ 60002018121
- ქ. თბილისი,ფანასკერტელის 14, ბინა 48

ორგანიზაცია:

- შპს მეტროპოლ მენეჯმენტი კოდი: 405561379

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, დიმიტრი გულიას ქუჩა N4, საკადასტრო კოდით 01.18.05.008.140.01.05.001, საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სამსახურის მიერ 17/06/2024წ. № 7076009 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული კონდიციონერის გარე აგრეგატის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობის დადასტურებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882024742979, 30/05/2024წ. საკადასტრო კოდი N 01.18.05.008.140.01.05.001; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა;) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, დიმიტრი გულიას ქუჩა N4, საკადასტრო კოდით 01.18.05.008.140.01.05.001, საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სამსახურის მიერ 17/06/2024წ. № 7076009 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული კონდიციონერის გარე აგრეგატის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე განთავსების შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.